# Dupa-Putzfestiger

გამხსნელზე დაფუძნებული, გამჭვირვალე საგრუნტი მასალა.
არომატის გარეშე. შიდა და გარე სამუშაოებისთვის.

## პროდუქტის აღწერა

**გამოყენების სფეროები**

მაღალი ხარისხის, უფერო, სპეციალური საშუალება კრიტიკული მინერალური ზედაპირების დასამუშავებლად ფასადებზე. გამოიყენება, როგორც დამცავი გრუნტი საბოლოო ფენის დადებამდე - ფოროვანი, ძველი ბათქაშებისა და ბეტონის ზედაპირების გასამყარებლად. დაიტანება ცემენტზეც და ასევე ზედაპირებზე, რომლებიდანაც მექანიკური მეთოდით მოხსნილ იქნა ძველი საღებავის დანაფარი. ასევე გამოიყენება პოლისტიროლის (პენოპლასტის) შემცველ ბათქაშებზე და პოლისტიროლის (პენოპლასტის) ფილებით გაკეთებულ ფასადის თბოსაიზოლაციო სისტემებზე.

**თვისებები**

- არომატის გარეშე
- ამყარებს ცარცვად და ქვიშიან ზედაპირებს
- გამოიყენება პოლისტიროლის შემცველ ბათქაშებზე და პოლისტიროლის ფილებით
- გაკეთებულ ფასადის თბოსაიზოლაციო სისტემებზე

**მასალის შემკვრელი**

სინთეტიკური ფისი, გახსნილი ორგანულ გამხსენელებში.

**შეფუთვა**

2,5 ლ, 10 ლ.

**ფერი**

გამჭირვალე

**შენახვის პირობები**

შეინახეთ გრილ ადგილას, მოარიდეთ ყინვას.

**ტექნიკური პარამეტრები**

- სიმკვრივე: დაახლოებით 0.9 გ/სმ$^3$

**გამოყენების სფეროების განსაზღვრა, ტექნიკური ინფორმაცია № 606 -ის მიხედვით.**

| ინტერიერი 1 | ინტერიერი 2 | ინტერიერი 3 | ექსტერიერი 1 | ექსტერიერი 2 |
|---|---|---|---|---|
| + | + | + | + | + |
| (–) არ არის შასაფერისი / (◯) შეზღუდულად შესაფერისი/ (+) შესაფერისი | | | | |

## გამოყენება

**ზედაპირის მომზადება**

ზედაპირები უნდა იყოს სუფთა, განმაცალკევებელი ნივთიერებებისგან (ზეთები, ცხიმები) თავისუფალი, მშრალი. თანახმად სტანდარტისა VOB, ნაწილი C, DIN EN 18 363, პარაგრაფი 3. შესაფერისი ზედაპირების და მათი წინასწარი მომზადების შესახებ იხილეთ ჩვენი ტექნიკური ინფორმაცია Nr. 650 - “ზედაპირები და მათი წინასწარი მომზადება”.

**დატანის მეთოდი**

დაიტანეთ გამხსნელების ზემოქმედების მიმართ მედეგი ხელსაწყოებით, შემდგომ შეაზილეთ ზედაპირს ფუნჯის მეშვეობით.

**გაზავება**

საჭიროების შემთხვევაში, გააზავეთ მხოლოდ მაქს.10 % Caparol AF-გამხსნელით.

**დაფარვის სტრუქტურა**

ნორმალურ, ან ნაკლებად შემწოვ ზედაპირებზე დაიტანეთ განუზავებელ მდგომარეობაში ერთ ფენად. გაშრობის შემდეგ ზედაპირზე არ უნდა წარმოიქმნას ფორების ჩამკეტი პრიალა აპკი.




CAPAROL

| | |
|---|---|
| ხარჯი | დაახლოებით 150-300 მლ/მ². ზუსტი ხარჯი განისაზღვრება პროდუქტის სასინჯი დატანით. |
| გამოყენების პირობები | გამოყენება შესაძლებელია ყინვაშიც, თუ ზედაპირი არ არის სველი და მოყინული. |
| შრობის დრო | 20° C ტემპერატურისა და 65%-იანი ჰაერის ტენიანობის პირობებში ზედაპირი შემდგომი სამუშაოებისათვის მზადაა 12 საათში. ჰაერის დაბალი ტემპერატურისა და მაღალი ტენიანობის პირობებში ეს ვადები მატულობს |
| ხელსაწყოები | დაიტანეთ უხვად, გამხსნელის მიმართ მედეგი ფუნჯით. მიფრქვევისთვის გამოიყენეთ უჰაერო (Airless) მიმფრქვევი. არ გამოიყენოთ პროდუქტის კომპრესირებული ჰაერით მიფქვრევა. |
| უჰაერო (Airless) მიფრქვევით დატანა | მიფრქვევის კუთხე: 60გრადუსი,<br>ნახვრეტის დიამეტრი: 0.074მმ,<br>მიფრქვევის წნევა: 50-60 ბარი.<br>გამოყენებისთანავე გარეცხეთ ნიტრო-გამხსენლით ან ფუნჯების საწმენდი სპეციალური ხსნარით. |
| შენიშვნა | სხვა პროდუქტებთან თავსებადობა: არ შეურიოთ Dupa-Putzfestiger-ი სხვა პროდუქტებს. |

## მითითებები

| | |
|---|---|
| რისკები / რჩევები უსაფრთხოებისთვის | სითხე და ორთქლი აალებადია. აღიზიანებს სასუნთქ ორგანოებს. იწვევს თვალის მძიმე დაზიანების. აორთქლილმა პროდუქტმა შეიძლება გამოიწვიოს გონების დაკარგვა და უკონტროლო ძილი. მომწამვლელია წყლის ორგანიზმებისთვის, შეიძლება გამოიწვიოს ხანგრძლივი მავნე ზემოქმედება. მოარიდეთ ბავშვებს! მოარიდეთ სიცხეს. არ მოწიოთ მასთან ახლოს. რ შეისუნთქოთ მიმფრქვევით დატანის დროს წარმოქმნილი "ღრუბელი". მოარიდეთ ტვალში, კანზე და ტანსაცმელზე მოხვედრას. გაატარეთ ელექტროსტატიკური დამუხტვის საწინააღმდეგო ღონისძიებები. არასაკმარისი ვენტილაციის პირობებში გამოიყენეთ რესპირატორი. გადაყლპვის შემთხვევაში პირი გამოიბანეთ, არ გამოიწვიოთ ღებინება. შეფუთვა უნდა იყოს გერმეტიულად დახურული და ინახებოდეს გრილ, კარგად განიავებად პირობებში.<br>**შეიცავს:** დეკანი, 2,2,4,6,6-პენტამეთილჰეპტანი, ალკანები, C9-12 იზო-, 1-იზოპროპილ-2,2-დიმეთილტრიმეთილენ დიიზობუტირატი. |
| უტილიზაცია | მეორადი გადამუშავებისათვის ჩააბარეთ მხოლოდ ცარიელი შეფუთვა. საღებავის ნარჩენი თხევადი ნაშთი შესაძლებელია უტილიზებული იქნას როგორც ლაქის/საღებავის ნარჩენი, გამხმარი ნაშთი კი საყოფაცხოვრებო ან სამშენებლო ნაგავი. |
| აქროლადი ორგანული შენაერთების ზღვრული კონცენტრაცია ევროკავშირის სტანდარტის შესაბამისად (VOC) | **VOC.პროდუქტის კატეგორია (A/h):** 750 გ/ლ (2010). ეს პროდუქტი შეიცავს მაქსიმუმ < 650 გ/ლ აქროლად ორგანულ ნივთიერებებს (VOC). |
| პროდუქტის კოდი | **GISCODE:** BSL60 |
| შემადგენლობა | პოლიაკრილატის ფისი, ალიფატიკა, ეთერები, გლიკოლის ეთერები |
| ტექნიკური კონსულტაცია | მოცემული ტექნიკური ინფორმაციის ფარგლებში შეუძლებელია მოცემული იქნას რჩევები - პრაქტიკაში არსებული ყველა ზედაპირის და მათი დამუშავების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი დასამუშავებელი ზედაპირი არ არის შესული ამ ინფორმაციაში, კონსულტაციისათვის მიმართეთ კაპაროლის ოფისს, ან ადგილს, სადაც მოხდა პროდუქტის შეძენა. კომპანია კაპაროლი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით. |

**შპს კაპაროლ ჯორჯია**
ალ. ქართველიშვილის ქ. N8,
0198 თბილისი საქართველო
office@caparol.ge
www.caparol.ge